საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-08/27

ქ. ბათუმი **28 თებერვალი, 2018 წ.**

,,2017-2018 სასწავლო წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების პირთა აფილირების განსაზღვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 31 აგვისტოს N01-08/66 ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, **,,2018 წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების პირთა აფილირების განსაზღვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის** 2018 წლის 1 თებერვლის N01-08/18 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ,,2017-2018 სასწავლო წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების პირთა აფილირების განსაზღვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 31 აგვისტოს N01-08/66 ბრძანებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.11., 1.12. და 1.13. პუნქტები:

,,1.11. **ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირის სამუშაო ადგილის ცვლილების შემთხვევაში** (ბსუ-ში ან/და სხვა დაწესებულებაში), **ცვლილებიდან არაუგვიანეს 3 სამუშო დღისა,** ამ პირის მიერ ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად (ფაკულტეტის დეკანის ვიზირებით) წარმოდგენილი იქნეს ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 1 თებერვლის N01-08/18 ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად შევსებული ახალი აფილირების განაცხადი (შეთანხება) და საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე ბრძანების 1.6. ქვეპუნქტით გათვალისწინებული

ცნობები სამუშაო ადგილიდან (ამ ქმედების განხორციელებაზე კონტროლი განახორციელოს ფაკულტეტის დეკანმა);

1.12. ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირის მიერ წარმოდგენილი **ახალი აფილირების** განცხადებისა და სამუშაო ადგილებიდან წარმოდგენილი ცნობის ანალიზის საფუძველზე, ბსუ-ს აფილირების წესის, ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის მოთხოვნათა და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების გათვალისწინებით გამოიცეს ბსუ-ს რექტორის ბრძანება ამ აკადემიური თანამდებობის პირის აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებებში ცვლილების შეტანის შესახებ;

1.13. ბსუ-ს იმ აკადემიური თანამდებობის პირის პირად საქმეში, რომელიც პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ასევე სხვა დაწესებულებაში, აფილირების შეთანხმებასთან ერთად უნდა განთავსდეს მისი საერთო (ბსუ-ში და სხვა დაწესებულებებში) აკადემიური დატვირთვის სქემა (აღნიშნული სქემა მომზადდეს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ და შეთანხმდეს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და დეკანთან).“

2. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ წინამდებარე ბრძანების 1.11. და 1.12. პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები შესრულდეს ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო ბრძანების 1.13. პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა - არაუგვიანეს 2018 წლის 15 მარტისა.

3. წინამდებარე ბრძანების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი პირის მიმართ დაწყებული იქნეს დისციპლინური საქმისწარმოება.

4. ბრძანება და ბრძანების კოდიფიცირებული ვერსია გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, სტრუქტურულ ერთეულებს, აკადემიურ პერსონალს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**